საჯარო სამართლის იურიდიული პირის
საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის
დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030133220076620

№ 12-37/ო **27 / მარტი / 2020 წ.**

კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში რეაგირების შტაბის შექმნის შესახებ

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 21 მარტის N1 დეკრეტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ივნისის N01-50/ნ ბრძანების მე-2 მუხლისა და მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობების დაგეგმვისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას რეაგირების შტაბი (შემდგომში - შტაბი) შემდეგი შემადგენლობით:
ა) დავით ტორუა - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორის მოადგილე, შტაბის უფროსი;
ბ) ზურაბ ანდღულაძე - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორის მოადგილე, შტაბის წევრი;
გ) ამირან გოგიტიძე - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამედიცინო უზრუნველყოფის და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის უფროსი, შტაბის წევრი;
დ) ქრისტინა საჯაია- სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, შტაბის წევრი;
ე) ეკა გოლიაძე - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და შიდა კონტროლის დეპარტამენტის უფროსი, შტაბის წევრი;
ვ) დავით ანთოშვილი - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი, შტაბის წევრი;
ზ) გოჩა აბულაძე - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, შტაბის წევრი;
თ) დავით კირკიტაძე - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ლოგისტიკის დეპარტამენტის ლოგისტიკის და სამეურნეო სამმართველოს უფროსი, შტაბის წევრი;
ი) ლაშა კობალავა - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ლოგისტიკის დეპარტამენტის ავტოპარკის სამმართველოს უფროსი, შტაბის წევრი;
კ) სოლომონ როსტომაშვილი - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამედიცინო უზრუნველყოფის და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, შტაბის წევრი;
ლ) მარიკა ხათაშვილი - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების

ცენტრის სამედიცინო უზრუნველყოფის და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის გამოძახების, მართვისა და ჰოსპიტალიზაციის სამმართველოს უფროსი, შტაბის წევრი;
მ) ეკა კაპანაძე - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამედიცინო უზრუნველყოფის და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის დაგეგმარებისა და სამედიცინო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, შტაბის წევრი;
ნ) ანა თომაძე - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამედიცინო უზრუნველყოფის და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის გამოძახების მართვისა და ჰოსპიტალიზაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, შტაბის წევრი;
ო) თამარ ალანია - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამედიცინო უზრუნველყოფის და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის დაგეგმარებისა და სამედიცინო უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მდივანი;

2. შტაბის ფუნქცია-მოვალეობად განისაზღვროს:
ა) საგანგებო სიტუაციის პერიოდში ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;
ბ) ყველა შესაბამისი ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი, დაგეგმვა და განახორციელების კოორდინაცია;
გ) საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ცენტრის მიერ განსახორციელებელი უფლება-მოვალეობების განხორციელებების კოორდინაცია, თუ აღნიშნული არ განეკუთვნება ცენტრის დირექტორის მიერ შექმნილ სხვა კომისიას/ჯგუფს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ავთანდილ თალაკვაძე